

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი შპს ვაკიჯვრის კალმახი

2019 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8



კომპილაციის რეპორტი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს ვაკიჯვრის კალმახის დამფუძნებლებს

ჩვენ განვახორციელეთ შპს ვაკიჯვრის კალმახის (“კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

15 სექტემბერი 2020

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,260	4,035
		4,260	4,035
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	1,108	1,249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	220	351
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	12	12
		1,340	1,612
სულ აქტივები		5,600	5,647
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
საწესდებო კაპიტალი		1,030	1,030
გადაფასების რეზერვი		2,892	2,544
აკუმულირებული მოგება		(234)	222
სულ კაპიტალი		3,688	3,796
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	541	640
		541	640
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	136	219
სესხები	9	1,235	992
		1,371	1,211
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,600	5,647

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს:

ოთარ ჩხარტიშვილი

ირაკლი ბახანიძე

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 8-30 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	11	1,860	2,477
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,517)	(1,563)
საერთო მოგება		343	914
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(277)	(182)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		66	732
ფინანსური ხარჯები		(170)	(123)
ზარალი საკუთროს სხვაობიდან	13	(64)	(30)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(179)	(113)
მოგება დაბეგვრამდე		(347)	466
მოგების გადასახადი		(3)	-
წლის მოგება/(ზარალი)		(350)	466
წლის სხვა გაერთიანებული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		348	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი/(ზარალი)		(2)	466

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 8-30 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,030	2,544	(244)	3,330
2018 წლის 1 იანვარი	-	-	466	466
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	-	466	466
დივიდენდები	-	-	-	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,030	2,544	222	3,796
წლის ზარალი	-	-	(350)	(350)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	348	-	348
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	348	(350)	(2)
დივიდენდები	-	-	(106)	(106)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	(106)	(106)
		-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	1,030	2,892	(234)	3,688

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 8-30 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	(350)	466
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	123	119
საპროცენტო ხარჯი	170	123
მოგების გადასახადის ხარჯი	3	-
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	64	30
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	10	738
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	140	34
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	141	(159)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(103)	(14)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	188	599
გადახდილი პროცენტი	(170)	(123)
გადახდილი მოგების გადასახადი	(3)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	15	476
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(114)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(114)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	2,235	1,459
სესხების დაფარვა	(2,138)	(1,817)
გაცემული დივიდენდი	(106)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(9)	(358)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	6	4
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(6)	(13)
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშზე პერიოდის დასაწყისში	12	21
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშზე	12	12

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 8-30 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 237074857 („კომპანია“) დაარსდა 1995 წლის დეკემბერს. კომპანიის 90.5%-იანი წილის მფლობელია სს ნიკორა 200050675, დანარჩენი 9.5%-ის მფლობელები არიან ფიზიკური პირები. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას წარმართავს საქართველოში.

კომპანია ფლობს საკალმახე მეურნეობას და აწარმოებს კალმახის ხიზილალას.

„ვაკიჯვრის კალმახის“ რეგისტრირებული მისამართი არის სოფელი ვაკიჯვარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წლეს შეადგენდა 27 თანამშრომელს (2018: 29).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი დისკოტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრიცხო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-14 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამეა კომპანიის ოპერაციებს.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით

ფასს 9-ის თანახმად სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებას, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლების და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი ღირებულება იჯარის წამოწყების თარიღისთვის.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი. კომპანიის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულა.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16-ის გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების

გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს, ბასს 12-ით გათვალისწინებული, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, კერძოდ: (ა) საწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე იხილავს თუ არა; (ბ) რა დაშვებებს აკეთებს საწარმო საგადასახდო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით; (გ) როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და საგადასახადო განაკვეთებს; და (დ) როგორ ითვალისწინებს საწარმო ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია კომპანიას.

ამ ფინანსური ანგარიშების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ იქნა ათვისებული მიმდინარე წელს, არ არის განხილული, ვინაიდან მოსალოდნელი არ არის, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.2095 ლარს. (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი და ერთი ევრო 3.0701 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებული არის ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. შენობები, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო ქონებას, აგრეთვე ჩართულია ძირითად საშუალებებში, იმ შემთხვევაში, თუ ის აღირიცხება, როგორც ფინანსური იჯარა. ამგვარ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ, როგორც მოსალოდნელ სასარგებლო ვადას ან იჯარის პირობების შესაბამისად განსაზღვრულს შორის უმცირესით.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღიარებულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გაოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	-	30 წელი
მანქანა დანადგარები	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	-	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	-	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	7-10 წელი

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას შემცირებადი ნაშთის მიხედვით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 5-7 წლით პროგრამების, უფლებებისა და სხვა აქტივებისთვის.

განუზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის

მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიათ ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას;

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, კომპანიას შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიამ შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVთPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

კომპანია აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჯას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, კომპანია ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება

კომპანია ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც კომპანიისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება:

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანია იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ალაირების შეწყვეტა:

კომპანიამ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა კომპანიამ ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს კომპანიის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება:

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღაირების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.6.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი

ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთდროული განხორციელების შესახებ.

3.7 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

დამფუძნებლებთან დაკავშირებული ტრანზაქციები კაპიტალის ნაწილში ჩაიწერება განცალკევებულად.

გადაფასების რეზერვი მოიცავს შენობებისა და მიწის გადაფასებიდან მიღებულ მოგება/ზარალს.

3.9 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.10 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სასაქონლო მატერილური მარაგების რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნას არიარებული, კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე
5. შემოსავლის აღიარება როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

3.11 ფული ხელზე და ბანკში

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	139	3,578	351	21	152	4,241
შემოსვლა	-	66	40	3	5	114
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	139	3,644	391	24	157	4,355
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გადაფასების ნამეტი	15	197	-	-	-	212
2019 წლის 31 დეკემბერი	154	3,841	391	24	157	4,567
დაგროვილი ცვეთა						
2018 წლის 1 იანვარი	-	-	138	10	53	201
წლის ცვეთა	-	67	32	3	17	119
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	67	170	13	70	320
წლის ცვეთა	-	69	33	4	17	123
გადაფასების შედეგად ელიმინირება	-	(136)	-	-	-	(136)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	203	17	87	307
ჩაბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბერი	139	3,577	221	11	87	4,035
2019 წლის 31 დეკემბერი	154	3,842	187	7	70	4,260

კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 1,526 ათასი ლარი გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სესხების უზრუნველყოფისთვის (2018: 1,707 ათასი ლარი)

5 მარაგები

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	19	92
მზა საქონელი	205	307
დაუმთავრებელი წარმოება	884	850
	<u>1,108</u>	<u>1,249</u>

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	220	351
სხვა მოთხოვნები	-	-
	<u>220</u>	<u>351</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღეა, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. 365 დღეს არ გადასცილდა არცერთი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანიის მენეჯმენტს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი, რადგან ისტორიულად არ დამდგარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შედეგი ან მოვენა, რომელიც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებული ვალუების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	1	1
საბანკო ანგარიშებზე	11	11
	<u>12</u>	<u>12</u>

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე დენომინირებული ვალუების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17-ში.

8 კაპიტალი და რეზერვი

8.1 საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,030,367 ლარს. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა იმავეს.

9 სესხები

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,175	677	541	640
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან	60	315	-	-
	<u>1,235</u>	<u>992</u>	<u>541</u>	<u>640</u>

კომპანიის ძირითადი საშუალებები გამოყენებული არის დედა კომპანიის მიერ სს „თი ბი სი“ ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფათ. ფინანსური ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და 10.56% საშუალო შეწონილი პროცენტით.

ბანკის სესხები მიღებული არის საერთო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში.

ბანკის სესხები უზრუნველყოფილი არის ჯგუფის წევრი კომპანიების მარაგებით და ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა 4-ში).

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	136	177
საგადასახადო ვალდებულებები	-	42
	<u>136</u>	<u>219</u>

11 შემოსავალი

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	1,860	2,477
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	-	-
	<u>1,860</u>	<u>2,477</u>

12 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ანაზღაურება	144	62
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა	39	40
საკონსულტაციო მომსახურება	15	10
იჯარის ხარჯი	10	10
ცვეთის ხარჯი	3	2
ოფისის ცარჯი	1	1
მოგზაურობის ხარჯები	-	2
სხვა ხარჯები	65	55
	<u>277</u>	<u>182</u>

13 კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<i>მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან:</i>		
ფულზე და მოთხოვნებზე:	(6)	(12)
ამორტიზებული ღირებულების შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(58)	(18)
	<u>(64)</u>	<u>(30)</u>

14 შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია მნიშვნელოვანი საქმიანობის შეფერხება ბიზნესში და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასების ზრდა და ვალუტის გაცვლითი კურსი. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარდა ზოგიერთი შეზღუდული ტიპის აუცილებელი ბიზნესისა, მათ შორის კვების ობიექტებისა და მაღაზიების შესახებ.

კომპანია ფლობს საკალმახე მეურნეობას და აწარმოებს კალმახის ხიზილალას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანიის ბიზნესსექტორში დარღვევები მინიმალურია, ნედლეულის მიწოდება ადეკვატურია და კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა ჯერჯერობით შედარებით სტაბილურია. 2020 წლის მარტის ბოლოს, როდესაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო სიტუაცია საქართველოში, კომპანიამ განაგრძო წარმოების პროცესი ყოველგვარი შეფერხებისა და შეზღუდვების გარეშე. ამასთან, მარტის ბოლოს და 2020 წლის აპრილის თვეში მოხდა გაყიდვების შემცირება, მაგრამ ივნისიდან კვლავ დაიწყო ზრდა. კომპანიის მენეჯმენტი ელის, რომ ისინი სექტემბრამდე დაუბრუნდებიან დაგეგმილ გაყიდვებს.

კომპანია კვლავ მუშაობს სამუშაო პროცესის ისე ორგანიზებაზე, რომ შემოსვლას გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან.

ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები არ მომხდარა არც უცხოელ და არც ადგილობრივ მომწოდებლებთან. მენეჯმენტი დადებითად აფასებს პანდემიით გამოწვეულ საბაზრო ფასების რისკებს, რადგან წარმოების პროცესი დაიგეგმა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა მუშაობის ორგანიზაციასა და დაკომპლექტებას:

- როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციამ, ამ პერიოდის განმავლობაში გადაწყვიტა შეენარჩუნებინა პერსონალი და გადაეხადა მთლიანი ხელფასები,
- ადმინისტრაციის ყველა წევრი სახლიდან დისტანციურად მუშაობდა,
- კომპანიამ შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პანდემიასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.
- კომპანიამ თანამშრომლებს სატრანსპორტო მომსახურება გაუწია სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან ასაცილებლად,
- კომპანიამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად განახორციელა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები მათი ყველა თანამშრომლისა და მომხმარებლისთვის.

15 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

15.1 კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალები

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აფასებს მისი გამოცდილებისა და მოლოდინის საფუძველზე. დებიტორული დავალიანების შეგროვების ფაქტობრივი განაკვეთები შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი შეფასებისგან.

15.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის (საკვები პროდუქტების წარმოება) სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, და მარტიდან, როცა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღო პანდემიის საპასუხოდ, იენისამდე პერიოდში სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. ხელმძღვანელობის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს

რომ საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობს საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

16 ფინანსური ინსტრუმენტები

16.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

16.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	220	351
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	12	12
	<u>232</u>	<u>363</u>
ფინანსური ვალდებულებები		

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით:		
სესხები	1,776	1,632
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	136	219
	<u>1,912</u>	<u>1,851</u>
წმინდა პოზიცია	<u>(1,680)</u>	<u>(1,488)</u>

17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში. უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ათასი ლარი

2019 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	486	196
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	486	196
წმინდა პოზიცია	(486)	(196)

ათასი ლარი

2018 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	536	222
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	167
სულ ფინანსური ვალდებულებები	536	389
წმინდა პოზიცია	(536)	(389)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	73	80	29	33

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია არის საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენის ქვეშ, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს მიღებული სესხები როგორც ცვალებადი, ასევე ფიქსირებულ პროცენტში. კომპანია ზემოხსენებულ რისკს მართავს მისაღები ბალანსის დაცვით ფიქსირებულ და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის სესხებს შორის.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2019

	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
<i>ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით:</i>		
სესხები		
ლარი	12.50%	12.50%
აშშ დოლარი	7.82%	7.82%
ევრო	6.50%	6.50%

2018

	საშალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
<i>ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით:</i>		
სესხები		
ლარი	10.7%	10.7%
აშშ დოლარი	9.3%	9.3%
ევრო	7.5%	7.5%

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება		
მოთხოვნები	220	351
ფული საბანკო ანგარიშებზე	12	12
	<u>232</u>	<u>363</u>

რეპორტის გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბაკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ათასი ლარი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულ ება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
2019					
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)			10.5%	12.5%	
6 თვეზე ნაკლები	136	-	56	1,108	1,164
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	69	-	69
1-5 წლამდე	-	-	543	-	543
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	<u>136</u>	<u>-</u>	<u>668</u>	<u>1,108</u>	<u>1,776</u>

ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	Total
2018					
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		-	9.5%	10%	
6 თვეზე ნაკლები	177	-	517	417	1,111
6 თვიდან 1 წლამდე	42	-	58	-	100
1-5 წლამდე	-	-	640	-	640
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	219	-	1,215	417	1,851

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად

18 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, პრივილეგიურ აქციებს, რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას, და სესხებისაგან, რისი დეტალებიც წარდგენილია შენიშვნა 9-ში.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია განიხილავს სამართავ კაპიტალად წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	3,688	3,796
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(12)	(12)
კაპიტალი	3,676	3,784
მთლიანი კაპიტალი	3,688	3,796
სესხები	1,776	1,632
სრული ფინანსირება	5,464	5,428
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.67	0.70

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

19.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება, ცენტალიზებული ეკონომიკის, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონეა.

ქვეყნები, რომლებიც თანამშრომლობდნენ საქართველოსთან, COVID 19 პანდემიის გამო, გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების დეფიციტი, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემდგომმა შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებმა, ინფლაციამ, აშშ დოლართან მიმართებაში ქართული ვალუტის მნიშვნელოვნად შემცირებამ და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის პანდემიის საპასუხოდ მიღებული ზომების შესაძლო გახანგრძლივებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ამასთან, რადგან ამ გაურკვევლობებში რისკისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება იმ თანხების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის აქტივების საბალანსო ღირებულებებზე.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად

19.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს მის ოპერაციებთან დაკავშირებულ ობიექტებს, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. მანამ სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

19.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

19.4 გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

20 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,856	-	1,856
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
სესხის აღება	1,459	-	1,459
სესხის დაფარვა	(1,817)		(1,817)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა:			
დარიცხული პროცენტი	123	-	123
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	11	-	11
რეკლასიფიკაცია	(992)	992	-
წლის 31 დეკემბერი	640	992	1,632
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
სესხის აღება	-	2,235	2,235
სესხის დაფარვა	(2,113)	(25)	(2,138)
გადახდილი პროცენტი	(40)	(130)	(170)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა:			
დარიცხული პროცენტი	60	110	170
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	14	33	47
რეკლასიფიკაცია	1,980	(1,980)	-
2019 წლის 31 დეკემბერი	541	1,235	1,776

21 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მის მშობელი საწარმო, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

21.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 90.5% ეკუთვნის სს „ნიკორას“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, 200050675, კომპანია არის დაარსებული და რეგისტრირებული საქართველოში. დარჩენილი 9.5% -ის მფლობელი შემდეგი პირებია:

ირინა მძინაძე, 33001069854 - 5%

ტარიელ მძინაძე, 33001011023 - 3%

ჯიმშერ მძინაძე, 33001016503 - 1%

სალომე მძინაძე, 33001034398 - 0.5%

21.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი ტრანზაქციები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქციონერები		
საქონლის რეალიზაცია	797	1,325

ათასი ლარი ალანსები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქციონერები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	151	282
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	60	314

21.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	63	68

კომპილაციის რეპორტი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს ვაკიჯვრის კალმახის დამფუძნებლებს

ჩვენ განვახორციელეთ შპს ვაკიჯვრის კალმახის ("კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – "კომპილაციური გარიგებები" – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღიკვეთისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

15 სექტემბერი 2020

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,260	4,035
		4,260	4,035
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	1,108	1,249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	220	351
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	12	12
		1,340	1,612
სულ აქტივები		5,600	5,647
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
საწესდებო კაპიტალი		1,030	1,030
გადაფასების რეზერვი		2,892	2,544
აკუმულირებული მოგება		(234)	222
სულ კაპიტალი		3,688	3,796
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	541	640
		541	640
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	136	219
სესხები	9	1,235	992
		1,371	1,211
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,600	5,647

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს:

ოთარ ჩხარტიშვილი

დირექტორი

ირაკლი ბახანიძე

ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 8-30 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

